



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №207

2016 წლის 18 ნოემბერი

ქ. მცხეთა

„უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტით მიღებული სახსრებით (პროექტის ღირებულება 144 682 ლარი) მრავალწლიან შესყიდვაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 03 ნოემბრის №2284 განკარგულების, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდს“ შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 17 ნოემბრის №11/4931 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტით მიღებული სახსრებით (პროექტის ღირებულება 144 682 ლარი) განახორციელოს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ახალდაბასა და აღდგომლიანთკარში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მრავალწლიანი შესყიდვის საშუალებით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ. №17

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ სოლოლაშვილი

